სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

27 აგვისტო 2024

N 21/9193

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

თქვენი 2024 წლის 26 ივლისის N 01/1438 (სააგენტოში რეგისტრაციით - N 22190) წერილის პასუხად, რომელიც ეხება „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2024-2030“ პროექტის სკრინინგის პროცედურაზე წარმოდგენას, გაცნობებთ შემდეგს:

- „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ პროექტის დოკუმენტში დაცული ტერიტორიები არ არის წარმოდგენილი ცალკე თავად;
- აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით საქართველოში არსებობს 6 კატეგორიის 100 დაცული ტერიტორია, რომელთა საერთო ფართობი, დაახლოებით 928 000 ჰექტარია, რაც საქართველოს 13,3 %-ია და საიდანაც დიდი ნაწილი მდებარეობს მაღალმთიან რეგიონებში, მათ შორის: თუშეთის დაცული ტერიტორიები, ყაზბეგის ეროვნული პარკი, რაჭის ეროვნული პარკი, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, მაჭახელას ეროვნული პარკი, ალგეთის ეროვნული პარკი, ერუშეთის ეროვნული პარკი და სხვა, რაც სასურველია გათვალისწინებული იყოს დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში;
- წარმოდგენილ დოკუმენტში დაცული ტერიტორიები განხილულია მხოლოდ ეკოტურიზმის ნაწილში, თუმცა არასრულყოფილად, რაც საჭიროებს დახვეწას;
- წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის განხილული დაცული ტერიტორიების როლი მაღალმთიანი რეგიონების განვითარებაში, ასევე ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნების, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის, ეკოტურიზმის განვითარების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. მიზანშეწონილია, საბოლოო დოკუმენტში სრულყოფილად აისახოს დაცული ტერიტორიების როლი როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე;
- წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის განხილული დაცული ტერიტორიების როლი და მნიშვნელობა ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებაში, რომელსაც აქტიურად იყენებს დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა;
- „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმაში არასრულყოფილად არის წარმოდგენილი ინფორმაცია დაცული ტერიტორიების სააგენტოს კომპეტენციის ფარგლები.

ზემოაღნიშნული საკითხების დაზუსტებამდე და კანონმდებლობის შესაბამისად განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენამდე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის განცხადება.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/9193-21-2-202408271754